საქართველოს მთავრობის

დადგენილება №359

2020 წლის 11 ივნისი

ქ. თბილისი

„თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017645) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამრეწველო და შიდა წყალსატევებში თევზჭერა დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, ხოლო სანაპირო და პალიასტომის ტბასა და მის მოსაზღვრე წყლის სივრცეში ე. წ. ნათხარებში მოქცეულ ფართობზე (შემდგომში – პალიასტომის ტბა და ნათხარები) თევზჭერა, ასევე კარწახის ტბაზე კიბოსნაირების, კარჩხანისა და ფსევდორასბორის მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ამ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.“.

2. მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ.ა“ – „პ.გ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

3. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. ამ მუხლით განსაზღვრული თევზჭერის ვადების შეზღუდვები არ ვრცელდება პალიასტომის ტბასა და ნათხარებში კეფალისებრთა ოჯახის სახეობების, ასევე კარწახის ტბაში კიბოსნაირების, კარჩხანისა და ფსევდორასბორის მოპოვებაზე, რომელიც დაშვებულია მთელი წლის განმავლობაში.“.

4. მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ^{1}) კიბოსნაირების რეწვა დასაკეცი მართკუთხა მახეებით (ე. წ. „გარმონების“) კარწახის ტბაში, რომლის სიგრძე 50 მ-ზე მეტია, ბადის უჯრის ზომა – 20 მმ-ზე ნაკლები, სიმაღლე/სიგანე – 60 სმ-ზე მეტი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**